პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ „მეუ“-ში შესრულებულ არამართებულ ქიროტონიებზე მიუთითა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.08.2022. პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაადასტურა ადრე გამოთქმული პოზიცია „მეუ“-ში შესრულებული საეპისკოპოსო და სამღვდელო „ქიროტონიების“ კანონიკურობის შეუწყნარებლობის შესახებ, რადგან აღნიშნული სტრუქტურა შექმნილია რამდენიმე სქიზმატური დაჯგუფის შერწყმის გზით.

როგორც პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ საიტზე 2022 წლის 23 აგვისტოს გამოქვეყნებულ **განცხადებაშია** ნათქვამი, 2019 წელს დუმენკოს მეთაურობით გამოცხადებული სტრუქტურა არ შეესაბამება კანონიკურობის პირობებს.

„პრინციპიალურ ეჭვად რჩება სამღვდელო და საეპისკოპოსო ქიროტონიების კანონიკურობა, – მათ

შორის ე.წ. „მეუ-ს მეთაურის“, – რომლებიც 1992-2018 წლებში შეასრულა კიევისა და სრულიად უკრაინის ყოფილმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა (დენისენკო). 1992 წელს ყოფილ მიტროპოლიტ ფილარეტს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილებით ჩამოერთვა სამღვდელთმთავრო და სამღვდელო ხელთდასხმა, როგორც სამონაზვნო აღთქმებისგან განდგომილს. 1997 წელს, თავისი ქმედებების შედეგად, რაც კანონიკური ნორმების დარღვევებს უკავშირდება, იგი დაბრუნებულ იქნა ერისკაცის მდგომარეობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ყველა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეიწყნარა. ქიროტონიაჩამორთმეულ ადამიანს არ შეუძლია და არ აქვს უფლება ის სხვებს გადასცეს“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ამ სტრუქტურის დაურეგულირებულ კანონიკურ მდგომარეობას შორს მიმავალი დოგმატური და კანონიკური შედეგები აქვს, – დაასკვნეს პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში: „ერისკაცების მიერ შესრულებული საიდუმლონი, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს! მეუ-ის გაჭიანურებული არაფორმალური სტატუსი განგაშსა და გაუგებრობას იწვევს მორწმუნეთა შორის, ასევე მთელს მართლმადიდებელ ეკლესიაში“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია არაერთხელ მოუწოდებდა და მოუწოდებს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს შეკრების მოწყობისკენ – სიყვარულის, სიმდაბლისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ავტოკეფალიის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს მთელი ეკლესიის დოგმატური და კანონიკური ნორმების საფუძველზე, და არა განდგომილთა დაჯგუფებაზე მორგებული წესებით. „წმინდა ეკლესიის სწავლებისგან განდგომილები ვერ იქნებიან ეკლესიის ჯანსაღი ორგანიზმის წარმომადგენლები. ეს არღვევს მთელი მართლმადიდებლობის ევქარისტულ ერთობას“, – ხაზგასმულია დოკუმენტში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89573/